

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №11

ქ. მარტვილი

21 ივლისი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 13 სთ-ზე დამთავრდა 15 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, ვარლამ ცეკვავა, მიხეილ ნაჭყებია, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/ ქეთევან ბაჩილავა, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს და დასძინა რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი შემოსულია წერილებით გარკვეული საკითხების საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და თუ წინააღმდეგი არ იქნებით პანდემიიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხები დაემატოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველ საკითხებს,

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 21 ივლისის დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 21 ივლისის ხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 ივლისის №27 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის პირველი მოადგილე/
3. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძის საჯარო სკოლისთვის დეკანოზ ანტონ კველიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
4. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
5. „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
6. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
7. „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ბეჭდისა და შტამპის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის ბეჭდებისა და სატიტულო ფურცლების, მერიის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 04 დეკემბრის №98 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
8. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 დეკემბრის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ, ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 13 ივლისის №04-03/88835 წერილით გვაცნობა, რომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზის შესაბამისად ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლად ნაცვლად 400000 ლარისა განისაზღვრა 350000 ლარი, დამატებითი ღირებულების გადასახადის შემოსავლად 8215300 ლარისა განესაზღვრა 8969900 ლარი, რომელიც გათვალისწინებულია ჩვენს მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში. აქედან გამომდინარე წარმოგიდგინებ „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე კორექტირებულ ბიუჯეტის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: ზურაბ მელიაევამ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება აღნიშნული საკითხის დამტკიცებას, ვინაიდან ამ წლის ოქტომბრის თვეში დანიშნულ თვითმმართველობის არჩევნებიდან გამომდინარე გარკვეული პერიოდი შეუძლებელი იქნება ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება №9 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძის საჯარო სკოლისთვის დეკანოზ ანტონ კეკელიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტი სოფელ ბანძას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება, სსიპ სოფ. ბანძას საჯარო სკოლაზე ამავე სკოლის დამაარსებლისა და პირველი ხელმძღვანელის - დეკანოზ ანტონ კეკელიას სახელის მინიჭების თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: რამაზ ხურცილავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი არ ეწინააღმდეგება გეგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ კანონს და ისიც მისაღებია აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს, „სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძის საჯარო სკოლისთვის დეკანოზ ანტონ კეკელიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხს.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21, წინააღმდეგი 0.

/„სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძის საჯარო სკოლისთვის დეკანოზ ანტონ კეკელიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №28 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების

ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ცვლილებით გასათვალისწინებელი ობიექტების ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: ლევან სურმავამ და ელდარ თოდუამ აღნიშნეს, რომ ისინი გაეცნენ აღნიშნულ საკითხს და აღნიშნეს რომ ისინი ეთანხმებიან მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში წარმოდგენილი 2 ობიექტი კერძოდ; სკ. 41.15.35.560 და 41.05.31.002 ამოღებულ იქნას საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან.

აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრებიც.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხს სკ/41.15.35.560 და 41.05.31.002 ობიექტების გამოკლებით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეცლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №29 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 5: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია მერიაში საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაზე გადასვლით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეცლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №10 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 6: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის აპარატის დებულების მე-8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში განსახორციელებელი ცვლილება და საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეველოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №11 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 7: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ბეჭდისა და შტამპის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის ბეჭდებისა და სატიტულო ფურცლების, მერიის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 04 დეკემბრის №98 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ბეჭდისა და შტამპის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის ბეჭდებისა და სატიტულო ფურცლების, მერიის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 04 დეკემბრის №98 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეველოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ბეჭდისა და შტამპის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის ბეჭდებისა და სატიტულო ფურცლების, მერიის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 04 დეკემბრის №98 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №30 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 8: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 დეკემბრის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 დეკემბრის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეველოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 დეკემბრის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №31 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია